ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 3

ქ. ლანჩხუთი **19.03.2021 წელი**
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე.**
კომისიის წევრები: ალექსანდრე მახათაძე, ზაალ სანაძე, ზაზა წულაძე, გოგი მორჩილაძე, კარლო კვიტაიშვილი, ოთარ პატიეშვილი, ზურა კუკულავა.

საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატი: ირაკლი მარშანიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.
მომხრე 8; **წინააღმდეგი -არცერთი.**

დღის წესრიგის პირველი საკითხი: .,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა (კანცელარიის

N10/302103617) შ. პ. ს გრიგოლ ორმოცაძის სახელობის ცენტრმა ,,ნევრონი“ (ს/ნ 233642662), რომლითაც მოთხოვნილია შ. პ. ს ,,ნევრონისათვის“ საოფისედ ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N126-ში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ყოფილი სასტუმრო) მეორე სართულზე მდებარე N107 (ს/კ 27.06.51.005.01.107), N108 (ს/კ 27.06.51.005.01.108) და N115 (ს/კ 27.06.51.005.01.115) ფართების გამოყოფა. მისი განმარტებით სამსახურის მოსაზრებაა, რომ შ.პ.ს გრიგოლ ორმოცაძის სახელობის ცენტრ ,,ნევრონი“-ს 5 წლის ვადით, გადაეცეს მის მიერ მოთხოვნილი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით და გადასაცემი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზაციო საფასურიდან წლიური საიჯარო საფასურის ოდენობად განისაზღვროს ფართების (68,7 კვ.მ) ღირებულების 36 411 ლარი-5%-ის ოდენობით-1820,55 ლარი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N7059-რს, 17.07.2020) საქართველოს კანონის 313-ე მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებითა და 1254 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცება.

მუხლი 1.

ეს წესი განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აგრეთვე ამ წესის აღსრულების მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ განსახორციელებულ ღონისძიებებს.

მუხლი 2

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (შემდგომში – სტრუქტურული ერთეული) საქართველოს კანონის ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 2904 -ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შესაბამის პირს (შემდგომში – პირი) საჯარიმო ქვითარს უგზავნის ფოსტის მეშვეობით რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. 2. თუ პირს საჯარიმო ქვითარი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ვერ ჩაბარდა, საჯარიმო ქვითარი

ბრუნდება ფოსტაში და დაბრუნებიდან არაუადრეს 30 დღისა და არაუგვიანეს მე-60 დღისა აღნიშნულ პირს განმეორებით ეგზავნება, იმავე მისამართზე.
3. საჯარიმო ქვითარი, პირისთვის ფოსტის მეშვეობით განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, უბრუნდება სტრუქტურულ ერთეულს მისი საჯაროდ გამოქვეყნების მიზნით.

მუხლი 3

1. პირისთვის საჯარიმო ქვითრის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ფოსტის მიერ მისთვის დაბრუნებულ საჯარიმო ქვითარს დაუყოვნებლივ აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.lanchkhuti.gov.ge (შემდგომში – ოფიციალური ვებგვერდი) შესაბამის ველში.
2. საჯარიმო ქვითრისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება ხდება ავტომატურად, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.
3. საჯარიმო ქვითარი პირისთვის ჩაბარებულად მიიჩნევა მისი ამ წესით დადგენილი წესით, საჯაროდ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

მუხლი 4

1. საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნება ხდება შემდეგი წესით: ოფიციალურ ვებგვერდზე სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ ადგილზე თავსდება იმ სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო სანომრე ნიშნების სრული სია, რომელთა მფლობელზეც/მესაკუთრეზეც გამოქვეყნების მომენტისათვის გამოწერილია საჯარიმო ქვითარი და იგი არ ჩაბარებია ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად.
2. დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშნის მონიშვნის გზით მოძებნოს და გაეცნოს ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით გამოწერილ საჯარიმო ქვითარს.
3. ოფიციალურ ვებგვერდზე საჯარიმო ქვითართან ერთად ასევე თავსდება შესაბამისი ბმული, სადაც დადგენილი წესების დაცვით შესაძლებელია კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირების ან/და ფოტოფირის ნახვა.

მუხლი 5

საჯაროდ გამოქვეყნებული საჯარიმო ქვითრის გაცნობისა და მის შესახებ ინფორმაციაზე სწრაფი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრუქტურული ერთეული საჯარიმო ქვითრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების თაობაზე ინფორმაციას, მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით უგზავნის პირს, თუ მათ მონაცემთა ბაზაში არსებობს ამ პირის საკონტაქტო ინფორმაცია.

მუხლი 6

1.საჯარიმო ქვითარი ოფიციალური ვებგვერდიდან ავტომატურად წაიშლება მისი ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან 90-ე კალენდარული დღის გასვლისთანავე, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შემთხვევისა. 2. პირის

მიერ ჯარიმის გადახდის შემთხვევაში საჯარიმო ქვითარი ოფიციალური ვებგვერდიდან იშლება ჯარიმის გადახდის დადასტურებისთანავე.

დეპუტატმა ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში აუცილებელია დაკონკრეტდეს მერიის რომელი შესაბამისი სტრუქტურული სამსახური იგულისხმება, რომელმაც უნდა მოახდინოს პროექტით ნაგულისხმევი მომსახურების რეალიზება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მოქმედი 8, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

დეპუტატმა ზაზა წულაძემ აღნიშნა, რომ ნოგაოთის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე არის დიდი ნაგვის ზე, რომელიც პირასაა. მისი მოკრა აუცილებელია, ვინაიდან წაქცევის შემთხვევაში დაზიანებს სოფლის ორ მაღაზიას, ასევე საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიას. მისი თქვით, აღნიშნული ბრობლემური საკითხის აღმოსაფხვრელად მუნიციპალიტეტის ნერიაში არაერთი განცხადება იქნა შემოტანილი, მაგრამ საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: / გიორგი ჩახვაძე/

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №3

19.03.2021 წელი
11:00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 19 მარტს მოწვეულ იქნა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნის გათვალისწინებით. კერძოდ; წარმოდგენილ პროექტში აუცილებელია დაკონკრეტდეს მერიის შესაბამისი სტრუქტურული სამსახური, რომელიც მოახდენს პროექტით ნაგულისხმევი მომსახურების რეალიზებას.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე

ლაწჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

19.03. 2021 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	10 50	
2	ზაზა წულაძე	10 50	
3	კარლო კვიტაიშვილი	10 55	
4	ალექსანდრე მახათაძე	10 55	
5	ზაალ საჩაძე	10 55	
6	ოთარ პატიეშვილი	10 : 55	
7	ზურაბ კუკულავა	10 55	
8	ირაკლი მარშანიშვილი	[illegible]	
9	გოგი მორჩილაძე	10 55	